სიმონ ხეჩინაშვილის სახელობის
საუნივერსიტეტო კლინიკა

SIMON KHECHINASHVILI
UNIVERSITY HOSPITAL

№ 284 "30" ივნისი 2023

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
არქიტექტურის სამსახურის უფროსს
თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გაცნობებთ, რომ შპს ''ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის'' ადმინისტრაცია ახორციელებს კლინიკის კუთვნილებაში არსებული ეზოს რეკონსტრუქციას/კეთილმოწყობას, რომელიც დღის წესრიგში დადგა ,,საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის" 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნის გამო.

კერძოდ, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლად განისაზღვრება ის კლინიკები, რომლებსაც 2025 წლის 1 იანვრიდან მოპოვებული ექნება საერთაშორისო აკრედიტაცია. სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით კლინიკის მიერ არჩეულ იქნა აკრედიტაციის განმახორციელებელი ორგანიზაცია Kooperation für Transparenz und Qualität im Krankenhaus (KTQ);

აღნიშნული ორგანიზაციის ერთ-ერთი კრიტერიუმია გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა და ავტოსადგომის არსებობა, მათ შორის ავტოსადგომი შშმ პირებისთვისაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კეთილმოწყობა ეხება კლინიკის ცენტრალური შესასვლელის მიმდებარედ არსებულ ეზოს ტერიტორიას. კლინიკის ეზოში გათვალისწინებულია სამი შლაგბაუმის მოწყობა.

პროექტირებით, ზ.ავალიშვილის ქუჩიდან შემოსასვლელში, გათვალისწინებულია თვითდინებით შემოსული პაციენტებისათვის შემომსვლელი სივრცის, გარეგანათების, გამწვანების და ორი შლაგბაუმის მოწყობა, რომელიც გამიჯნავს თანამშრომლებისა და პაციენტების საპარკინგე ზონებს, ხოლო ტერიტორიიდან გამსვლელი ავტომანქანებისათვის შეუფერხებლად გადაადგილების მიზნით, მესამე შლაგბაუმის განთავსება იგეგმება ყიფშიძის ქუჩის მიმართულებით კლინიკის ტერიტორიის ეზოდან არსებულ გასასვლელში. ამავე გასასვლელში იგეგმება ავტომესადგომეს ჯიხურის მოწყობა.

მოგმართავთ, თხოვნით გაითვალისწინოთ კლინიკის სპეციფიკა, განახორციელოთ პროექტის დამტკიცება, რაც უზრუნველყოფს პაციენტთა მომსახურების გაუმჯობესებას და კრიტერიუმებით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

წინასწარ მადლობას გიხდით დახმარებისა და თანადგომისთვის.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი მაია მახარაშვილი

1. პაციენტების პარკინგზე შემოსვლა განხორციელდება ზურაბ ავალიშვილის ქუჩის მხრიდან.

შემომსვლელ ავტომანქანას დააფიქსირებს კამერა და ავტომატურად გააღებს შლაგბაუმს

(ადგილების არ არსებობის შემთხვევაში შლაგბაუმი არ გაიღება, ასევე ადგილების რაოდენობა მითითებული იქნება შემოსასვლელთან ეკრანზე)

პარკინგიდან გასვლა მოხდება ყიფშიძის ქუჩაზე .

გასვლის დროსაც ავტომობილს დააფიქსირებს კამერა, ასევე გამსვლელ შლაგბაუმთან მოეწყობა ავტომესადგომეს ჯიხური.

დღის განმავლობაში სადგომს (პარკინგს) ეყოლება მინიმუმ 2 ავტომესადგომე, რომლებიც გააკონტროლებენ ავტომანქანების წესრიგიან გადაადგილებასა და გაჩერებას, ასევე მათ გასვლას.

ღამის განმავლობაში ჯიხურში დარჩება ერთი მორიგე ავტომესადგომე (საღამოს 20:00 დან - დილის 09:00 საათამდე)

2. თანამშრომლების პარკინგზე შესვლაც და გამოსვლაც მოხდება ავალიშვილის ქუჩიდან.

ამ სადგომზე იქნება განსაზღვრული შეზღუდული რაოდენობის ავტომანქანები და მათ მფლობელებს ექნებათ შლაგბაუმის პულტები, მისი ggაღებისათვის, ხოლო დაკეტვა განხორციელდება ავტომატურად 10-15 წამში


ჩ
480261.3658
4617832.5620
ასფალტის გზა
სტადიონი
სკვერი
პანდუსი
კონტეინერი
5ქ
მშენებარე კორპუსი
საპარკინგე სივრცე
ლევან მიქელაძის ქუჩა
არსებული მომსახურე პერსონალის და სასწრაფო მანქანის შესასვლელი
საპროექტო შლაგბაუმი N3
საპროექტო ჯიხური
საპროექტო ელ ბოძი N2
საპროექტო ელ ბოძი N1
საპროექტო შლაგბაუმი N1 ექიმების პარკინგი
საპროექტო შლაგბაუმი N2
4.50
7.99
6.43
5.00
4.50

ტოპო გეგმა

4617832.5620

4617832.5620

4802613.3658

4802613.3658

ჩ

ასფალტის გზა

ასფალტის გზა

ასფალტის გზა